№ 216
ხუთშაბათი, 1 დეკემბერი

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანათი.

რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.

დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტ.-ადრესი: Тиф., Ред. „Иверія“.

ცალკე ნომერი 3 კაპ.

1877—1905

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 216
ხუთშაბათი, 1 დეკემბერი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ.. წლიური განცხადება—მორიგებით.

განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

ტელეფონი № 922.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს, 1 დეკემბერს, გამოსვენებულ იქნება ნაძალადევიდან გვამი მოედანზე მოკლულ ამხანაგის-მილიციონერის

რაჟდენ სტურუასი

ამხანაგებს და მოქალაქეთ ვიწვევთ ნაძალადევში დილის 10 საათზე.

ტფილისის სოციალ-დემოკრატიული მუშათა ორგანიზაცია.

კვირას, 4 დეკემბერს, ვეტცელის თეატრში
წაკითხულ იქნება

რეფერატი

ბ-ნ განელიოს მიერ:

I

თანამედროვე საზოგადოებრივი მოძრაობა და პოლიტიკური პარტიები.

II

შალ. გოგელიასაგან.

კრიტიკა დიალექტიკის და მარქსის ეკონომიურ მონიზმისა.

ბილეთები ისყიდება „ივერიის“ რედაქციაში, გრ. გოგელიასთან.

დასაწყისი საღამოს $5^1/_2$ საათზე.

გაუგებარი მოვლენა

იმ ამბების გამო, რომელიც ამ უკანასკნელ დღეებში ტფილისში მოხდა და ჯერაც სავსებით არ შეწყვეტილა, ყველას ნერვები ისე დაჭიმული და გრძნობიერება—აღტყინებული, რომ ჟურნალისტს დღეს სხვა საგანზე წერა უძნელდება, თუ არ ისევ იმ ბარბაროსობაზე, რომელმაც ჩვენი ქალაქი მოიცვა და ყველას მშვიდობიანობა და მოქალაქობრივი ცხოვრება შეგვირყია.

უნდა გამოვტყდეთ,—როცა კი სომეხ-თათართა მტრობასა და ბრძოლას ვუკვირდებით,—ერთი რამ გვაოცებს და ვერ გაგვიგია: ვერ გაგვიგია ის მოსაზრება, რომლითაც ხელმძღვანელობენ სომეხთა შოვინისტები, როცა ისინი, ნაცვლად ხალხის დამშვიდებისა და დაწყნარებისა, თავისიანების მოქმედებას ყოველგან და ყველაფერში ხელს აფარებენ და არ ცდილობენ სასტიკად დაჰგმონ ის კერძო შემთხვევები მაინც, რომელნიც ყველას თვალ წინ ხდება და, მაშასადამე, მათზე ხელის დაფარება შეუძლებელია. ჩვენ გვესმის, როცა რომელიმე შოვინისტი თავისიანებში ჰხედავს საკმაო ძალას და ამ ძალის იმედით იგი სხვა ეროვნებასთან მორიდებასა და მორიგებას არ ცდილობს. ამ შემთხვევაში იგი, თუ არ ზნეობით, რეალურ ძალის განსჯა-გაზომვით მაინც ხელმძღვანელობს და შეუძლიან იფიქროს, რომ, რახან ძალა მის მხარეზეა, მიზანს მიაღწევს.

მაგრამ ასე არაა საქმის მდგომარეობა სომხობის შესახებ. საზოგადოდ მთელს კავკასიაში ისე არიან დასახლებულნი, რომ მათ თითქმის არსად მთლიანი ტერიტორია არ უჭირავთ და სხვადასხვა ეროვნების ხალხებთან—განსაკუთრებით კი თათრობასთან—შერეულად ცხოვრობენ. არც რიცხვით, არც ტერიტორიის მთლიანობით სომხები არ სჭარბობენ მაჰმადიანებს. ამასთან სომხობა, მომეტებულად, ვაჭარ-მრეწველი ხალხია, რომელსაც აუცილებლად ესაჭიროება მშვიდობიანობა და ლიბერალურ-ბურჟუაზიული საზოგადოებრივი წესწყობილება. ცხადია ამიტომ, რომ ის ბარბაროსული ბრძოლა, რომელიც ატეხილია სომხებსა და თათრებს შორის, სომხებისთვის ყოველ მხრივ საზარალო და მავნებელია. გონიერება რომ სრულიად დაივიწყოს ვინმემ და საქმის გადაწყვეტა იარაღს მიანდოს, მაშინაც ცხადზე უცხადესი უნდა იყოს მისთვის, რომ იარაღის ხმარების შედეგი ვერ იქნება მრავალრიცხოვან თათრების დამარცხება და სომეხთა გამარჯვება.

აქ ისეთი მარტივი ანგარიშია საჭირო, რომ მისი გამოთვლა და გაგება ყველას უნდა შეეძლოს, და ამიტომ ჩვენ გულწრფელად გვაკვირვებს, როცა სომეხთა შოვინისტ-ბურჟუაზიულ ბანაკს ვერ ვამჩნევთ თავის დაჭერას და ხალხის დასამშვიდებლად მეცადინეობას.

ჩვენ დღეს არაფერს ვიტყვით იმ ხოცვა-ჟლეტაზე, რომელიც სწარმოებდა და დღესაც სწარმოებს კავკასიის სხვადასხვა ადგილებში. მაგრამ ტფილისის მაგალითი კი თვალწინ გვაქვს,—აქ ჩვენ ვიყავით მაყურებელნი და ვიცით, რომ არავითარ პანისლამიზს არ დაუწყია სომხების ჟლეტა ტფილისში. ტფილისის თათრობას რომ დიდი სურვილიც ჰქონდეს სომხების ამოწყვეტისა, ისინი აქ ისე ცოტანი არიან, რომ თავის დღეში ვერ გაჰბედავენ ბრძოლის დაწყებას, რომელშიაც ისინი უეჭველად გაისრისებიან რიცხვით და სხვა მხრივაც ბევრად უფრო ძლიერის მოწინააღმდეგისაგან. ჩვენ კარგად გამოცდილი გვაქვს ბურჟუაზიის სიმართლის მოყვარეობა და ვიცით, რომ მალე საზღვარ-გარეთის ჟურნალ-გაზეთებში წავიკითხავთ: თათრებმა სომხებს ტფილისშიაც ჟლეტა დაუწყესო, მაგრამ ამგვარად „დაწერილი ისტორია“ არ ახალია—ძველია, და იგი ჩვენ ვერ დაგვავიწყებს იმას, რაც ჩვენის თვალით გვინახავს და ჩვენის ყურით გაგვიგონია.

ყოველ ეჭვს გარეშეა, სომეხთა ბრბომ ტფილისში არა ერთი და ორი ბარბაროსობა მოიმოქმედა. დაჰხოცეს ისეთი თათრები, რომელთაც არავითარი იარაღი არ ჰქონდათ, რომელნიც არავის არას ერჩოდნენ,—ზურგზე კურტან წამოკიდებულნი ან ჩაინიკითა და ლავაშით დატვირთულნი ქუჩებში დადიოდნენ და ორიოდე გროშის შოვნას აპირობდნენ. გუშინ-წინ, მაგალითად, „ცნობის ფურცლის“ რედაქციის წინ საზიზღრად დაჰხოცეს სომხებმა ორი მუშა-თათარი, რომელთაც იარაღი არ ჰქონდათ, არავის არ ემუქრებოდნენ,—პირიქით, იმალებოდნენ და გამხეცებულ ბრბოს ერიდებოდნენ. დაჰხოცეს და მათი გვამები მტკვარში გადაჰყარეს. რედაქციის თითქმის ყველა წევრები ამ საზარელ ამბავს უყურებდნენ და ვერ შესძლეს, საბრალო მსხვერპლნი დაეფარათ იმ ხალხისაგან, რომელსაც მუდამ თავი მოაქვს თავის დოვლათითა და კულტურტრეგერობით.

ვიმეორებთ, ასეთი ფაქტი ერთი და ორი არ მომხდარა ტფილისში. და რას შვრება ამ დროს სომხური ჟურნალ-გაზეთობა? რა ენითა და კილოთი ლაპარაკობს სომხური პრესსა? სამწუხაროდ, ამ პრესსაში არა იშვიათად ისეთი წერილები იბეჭდება, რომელთაც პირდაპირ პროვოკაციის ხასიათი აქვს. არა თუ იმ საზიზღარ ამბებზე, რომლებიც ჩვენ აღვნიშნეთ, კრინტს არ სძრავენ ეს გაზეთები, არა თუ არ ჰგმობენ კერძო შემთხვევებში გამომჟღავნებულ საშინელ ბარბაროსობას თავისიანებისას, არამედ, პირიქით, ისეთ წერილებს აცხობენ, რომელიც უეჭველად ხალხს აღელვებს და ეროვნულ ბრძოლისათვის საომრად იწვევს. კავკასიის სხვა ადგილებში თათრებმა ჩვენ გაგვჟლიტეს, აქ კი, ტფილისში, ჩვენ უმრავლესობა ვართო და... აი, გლახად დაფარული აზრი ამგვარ წერილებისა.

ამ მხრივ განსაკუთრებით ენერგიულად „მოღვაწეობს“ გაზ. „მშაკი“, რომელიც, როგორც მოგეხსენებათ, ლეიბ-ორგანოა სომხის შოვინისტურ ბურჟუაზიისა და სამღვდელოებისა. ამ გაზეთის № 233-ში ერთი „პროკლამაციაა“ დაბეჭდილი, რომელშიაც ასეთ მარგალიტებს ამოიკითხავთ: „...ჯერ არ შერყეულა ბარბაროსული ურდოები საქრისტიანო მთავრობისა თათრულ პოლიტიკის მფარველობას ქვეშ... უსამართლო ბრბო მიჰყოლია ჰამიდურ-თათრულ პოლიტიკას და ჰლამობს ჩვენს მოსპობას... არა, რა უნდა გვითხრას ახალმა გამოძიებამ? მაგ ბევრჯერ ნაცად, მაგრამ უნაყოფო გზას არ უნდა მივმართოთ დღეს. ჩვენ დავიღალეთ, ამგვარ გზაზე სიარულით. თავი დავანებოთ, უკუ ვაგდოთ ეს გამოუსადეგარი საქმე. დღეს უფრო მეტად საჭიროა მივმართოთ სომხის ხალხს! დრო არ არის, რომ მთელი სომხობა ფეხზე დადგეს და თავის ჯალათებს და იმათ დამრიგებლებს დაუყვიროს: კმარა! დიაღ, დროა! ადრევე იყო საჭირო, გადაჭრით და ერთხმად შეგვეტყობინებინა, რომ ჩვენ ცხვრის ფარა არა ვართ, რომ ჩვენშიაც არის ძალა ჩვენი ბედის გასაუმჯობესებლად... განა ცხოველური მოთმინება უნდა დავიცვათ ბოლომდის, სარჩობელის თოკამდის? უნდა ჩუმად და მუნჯად დავიმარხოთ საფლავში? იფიქრე, სომხის ხალხო, იფიქრე, თუ რა ხარ შენ,—სთანხმდები თუ არა გათოკილ მსხვერპლის მდგომარეობაში ყოფნას? თანხმდები, თუ გინდა საშინელ ბედს ომი გამოუცხადო? გინდა თუ არა გამოუცხადო ომი, ომი შეუბრალებელი და უწყალო, ომი ყოველნაირ საშუალებით, ომი კბილებით და მთელის არსებით? 9 თვის განმავლობაში სისხლის გაკვეთილს გაძლევდნენ. ისწავლე რამე, სომხის ხალხო? ისწავლე, რომ შენი მხსნელი შენ თვითონ ხარ? თუ ისწავლე,—სად არის დღეს შენი თავის დაცვა, სად არიან შენი შეიარაღებული მძლავრი რაზმები? ერთი მუჭა მეომარნი არიან შენში, რომელნიც აქეთ-იქით ეცემიან, ცდილობენ შენი სისხლი აიღონ გამხეცებულ მტრისაგან, მაგრამ ნუ თუ მხოლოდ ერთი მუჭა ხალხი გყავს იმ სასტიკ, ჯოჯოხეთურ სისხლის ღვრის წინააღმდეგ, რომელიც არსებობს დღეს? არა, დაულეველი რაზმები უნდა გამოვიდნენ ამ დაწყევლილ დროში... გონს მოდი, სომხის ხალხო, ეხლა მაინც გონს მოდი! ნუღარ დაჯდები, ნუღარ მოიცდი, დიდხნის დრო აღარაა, მოგროვდი, შეჯგუფდი, დაჩქარდი სომხის ხალხო! წუთს ნუ დაჰკარგავ, შემოკრბი ეროვნულ თვითმფარველობის დროშის ქვეშ! დაჩქარდი, სომხის ხალხო: ყოველი დაკარგული წუთი სისხლის მდინარეებს და ოხრებას მოგიტანს“.

ასეთი გახლავთ „მშაკის“ პროკლამაცია, რომლიდანაც ჩვენ მხოლოდ მცირე ნაწილი ამოვწერეთ. ასეთ ეროვნულ ბრძოლას ჰქადაგებს, ასე ამღვრევს წყალს ნაციონალური ბურჟუაზია. მას ბრმად მოეპოვებიან დაქირავებული მწერლები, რომელნიც ეროვნულ განხეთქილების ცეცხლს განუწყვეტლივ უბერავენ ბურჟუაზიულ საბერველით. ნეტა როდის შეიგნებენ ეს ხალხთა სოლიდარობის ამრევნი, რომ:

ვინც ქარს სთესავს,—გრიგალს მოიმკის!

ვისი ბრალია?

დეპეშამ გვაცნობა, რომ სარატოვში უცნობმა დედაკაცმა რევოლვერით მოჰკლა გენერალ-ადიუტანტი სახაროვი. სახაროვი ერთი იმ სამ გენერალთაგანია, რომელიც გაგზავნილი იყო გაღატაკებულ და ბოგანო გლეხთა „დასამშვიდებლად“. სოფ. ხოვანშჩინში სახაროვმა „წამქეზებელნი“ მოითხოვა. ყრილობიდან ორი ორატორი წამოდგა წინ, სოფლის მამასახლისი და ვოლოსტის სასამართლოს თავმჯდომარე, რომელთაც სურდათ საქმის ვითარება გამოერკვიათ. მისცვივდნენ კაზაკები და იმდენი სცემეს, რომ სიკვდილის პირას მიიყვანეს. ორივენი უგონოდ დაეცნენ. ამას შემდეგ სახაროვი სათითაოდ გამოუძახებდა ხოლმე გლეხებს და უბძანებდა: „გამოტყდი, ხომ ცეცხლს აჩენდი, ხომ ძარცვავდი“?—არა, თქვენო აღმატებულებავ. „აჰა, კაზაკები“! კაზაკები ეცემოდნენ უბრალო ხალხს და სცემდნენ, სცემდნენ ჯერ-ჯერობით, სვენებ-სვენებით, სანამ არ მიამკვდარებდნენ. სახეზე ხორცებს აგლეჯდნენ და „კუტუზკაში“ ჩააგდებდნენ ხოლმე. ასე მხეცურად ექცეოდა გენერალი სახაროვი ხალხს. დეე, მის მკვლელის მოსამართლეთ ახსოვდეთ სახაროვის საქციელი და გადასწყვიტონ, ვისი ბრალია სახაროვის მოკვლა?

„ნოვ. ჟიზნ“.

ქართველთა მიტინგი

სამშაბათს, 29 ნოემბერს, რამდენიმე ქართველმა ვერაზე მიტინგი გამართეს. მიტინგზე მსჯელობა ჰქონდათ იმის შესახებ, რა როლი უნდა შეასრულონ ქართველებმა სომეხ-თათართა ხოცვა-ჟლეტაში.

პირველადვე გამოითქვა შემდეგი აზრი: დიდიხანია, ქართველ ერს ძმური დამოკიდებულება აქვს როგორც სომხებთან, აგრეთვე თათრებთან. ამიტომ ქართველი ერი ვერ მიემხრობა ერთ რომელიმე მხარეს და მეორე მხარეს წინააღმდეგ ვერ ამხედრდება. ამას მოითხოვს ადამიანობა და ჩვენი ზნეობრივი ვალდებულება. ჩვენ მაინც, რასაკვირველია, არ მოგვწონს ეს სამარცხვინო ხოცვა-ჟლეტა, რომელიც კავკასიის პროგრესიულ მსვლელობას ძალზე ხელს უშლის. დაუყოვნებლივ უნდა იქმნეს მიღებული ღონის-ძიებანი ამ ხოცვა-ჟლეტის ჩასაქრობად, მხოლოდ იარაღით კი არა, არამედ ძმურის დარიგებითა და კეთილ-შობილურ სიტყვით. ამ მიზნით უნდა აირჩეს ქართველებისგან ბიურო, რომელმაც აგიტაციით, პროპაგანდით და სხვადასხვა ფურცლების გამოცემით უნდა განამტკიცოს ამ ორ მოჩხუბარ ერს შორის ის აზრი, რომ ეს ხოცვა-ჟლეტა საშინლად ვნებს თათრებსაც და სომხებსაც და მხოლოდ ახარებს იმ შავ ძალებს, რომელთაც სულით და გულით სურთ რუსეთში კონტრ-რევოლუციის მოხდენა.

სოციალ-დემოკრატებიც შეეხნენ იმ პოზიციას, რომელიც ქართველებმა უნდა დაიჭირონ ამ ხოცვა-ჟლეტის დროს და სთქვეს: ქართველი ბურჟუაზია იმიტომ შეძრწუნდა, რომ თავის ბარგი აქვს. ეშინიან, რომ ამ ხოცვა-ჟლეტამ ისინიც არ წაითრიოს. თუ თქვენ გინდათ მართლა ნეიტრალიტეტი დაიცვათ, იმ ტაქტიკას უნდა დაადგეთ, რომელსაც სოციალ-დემოკრატები ადგიან. ისინი შეიარაღებული დგანან ამ ორ მოჩხუბარ ხალხის შუა და, რაც შეუძლიანთ, ხელს უშლიან ხოცვა-ჟლეტას. საჭიროა ამ მიტინგმა დაადგინოს, რომ ის უერთდება ტაქტიკაში სოციალ-დემოკრატებს და მათთან ერთად იმოქმედებს ამ სამწუხარო ამბების მოსასპობად.

სოციალ-დემოკრატებს სხვები არ ეთანხმებოდნენ და ისევ იმ აზრს ადგნენ, რომ საჭიროა დაარსდეს ბიურო, რომელშიაც წევრებად შეიძლება მომეტებულ ნაწილად სოციალ-დემოკრატები ამოირჩიონ და ბიურო დაუყოვნებლივ საქმეს შეუდგეს.

ერთმა სოციალ-დემოკრატმა წაიკითხა თავის მიერ შემუშავებული რეზოლუცია, რომლითაც ქართველობა ტაქტიკურად სოციალ-დემოკრატიას უნდა შეერთებოდა. ამის შემდეგ სოციალ-დემოკრატები წავიდნენ.

მიტინგი ისე დაიშალა, რომ არავითარი გარდაწყვეტილება არ მიუღია.

ამისთანა მიტინგი ამ დღეებში კიდევ მოხდება.

ჯ ა რ შ ი.

მოსკოვის ალექსანდრე ნეველის ქვეითა რეზერვთა პოლკმა მთავრობას განუცხადა: „ჩვენ გვსურს ჩვენი აზრი და მოთხოვნილებანი გავუზიაროთ ჩვენს ამხანაგ სალდათებს და რუსეთის ყველა მოქალაქეთ, გვსურს ვაუწყოთ, თუ რა საძაგელ პირობებში ვცხოვრობთ და რასა ვთხოულობთ. 21 ნოემბერს პოლკის სახელობაზე გამოიცა ბრძანება პოლკოვნიკის გენიუკისა, სადაც იგი მადლობას უხდის და 5 მანათით ასაჩუქრებს ჩვენის პოლკის უნტერ-ოფიცერს ევრესს. ევრესმა თავის ნაცნობი გასცა. ის ენდო ევრესს და გულახდილად გაუზიარა თავისი აზრი ყველა უსამართლობა-უკუღმართობაზე და აძლევდა ხოლმე გაზეთებს საკითხავად. ჩვენის აზრით, ეს მუხანათობაა, გამცემლობა, რაც შეჰშვენის მხოლოდ პროვოკატორს—კაინს. ჩვენის მთავრობის აზრით კი, სამადლობელი და დასაჯილდოვებელი საქციელი გამოდგა.

ამას წინად **რიადოვოი** ვლადიმირ ლ. 10 დღით „ნაობახტში“ ჩასვეს იმის გამო, რომ სალდათების თამაშობაში გაერია, მაშინ, როდესაც იმავე დღეს აფიცრები ბანქოს თამაშობდნენ, ჩხუბი მოუვიდათ და ერთმანეთს სკამებით დაერივნენ. პოლკოვნიკი, რომელმაც ვლადიმირ ლ. დასაჯა, ამ თავ-პირის მტვრევას დაესწრო, მაგრამ აფიცრებს ხმაც არ გასცა.

ახლა კიდევ პოლიციურ სამსახურს გვაწევინებდნენ. ხშირად ხუთ-ექვს დღეს გაუხდელად ვატარებთ, ფეხები გვტკივა, მთელი სხეული დამტვრეული გვაქვს, გახურებულ ქარხნებიდან ყინვაში გვერეკებიან, მაგრამ ან კი რას დასდევენ ჩვენს ჯანმრთელობასა თუ დასნეულებას. ამისათვის ჩვენ შემდეგი მოთხოვნილებანი შევიმუშავეთ: 1) პოლიციური მოვალეობანი ჩამოგვშორდეს; 2) სამსახურის ვადა ორის წლით განისაზღვროს. 3) ვარჯიშობა-მეცადინეობა დღეში 3 საათს არ ასცილდეს; 4) ამოკითხვა დილის 9 საათზე მოხდეს; 5) თავისუფალ დროს ნება გვქონდეს დავესწროთ ხოლმე ყველა სახალხო კრებებსა თუ მიტინგებს; 6) თავის საჭიროებათა გამო თავისუფლად შეგვეძლოს შეკრება და ლაპარაკი. 7) კაზარმებში ყველა ჟურნალ-გაზეთებისა და წიგნების შეტანა შეიძლებოდეს; 8) სალდათების წერილებს ხელი არავინ ახლოს და სხვ.

დაე, ახსოვდეთ ყველა ჩვენს უფროსებს, რომ მოთმინების ძაფი გასწყდა ყველგან, ფლოტსა თუ ლაშქარში, და ჩვენი მოთმინების ფიალაც აივსო“.

(„ნოვ. ჟიზნ“ № 20).

წითელი დროშა

ემბლემა თავისუფლების
და სხვა ნეტარებისა—
ფრიალებს დროშა წითელი,
ნიშანი გამარჯვებისა?!..
სულს აფრთოვანებს შვებითა,—
ამსხვრევს ბორკილსა მონობის
უებრო დამმყარებელი
ძმობის და თანასწორობის!—
რაზმათ ახლავან ჭაბუკნი—
მამულიშვილი გმირები,
თავდადებულნი ქვეყნისთვის,
შენაფიც-შენაპირები!...
ცამდე გუგუნებს ის ცეცხლი,
რაც იმათ გულში ნთებულა,—
იბრძვიან,—ბრძოლის გარეშე
არსად რა გაკეთებულა!..
სიქვეყნო საკურთხეველზე
საზვარაკ-მსხვერპლად ფიცავენ
და სიტყვას, სისხლით აღბეჭდილს,
კუბოს კარამდე იცავენ!
ქვეწარმავალნი გარბიან,
დამფრთხალნი ნათელ-შუქითა,
მხოლოდ მუქარას გვითვლიან
სოროდან ბაქი-ბუქითა!..
მაგრამ რა შეჰქრის მებრძოლსა?
ის ლაჩარს დაეგვანება?
განა მხდალს მიწა მშობელი
ესახლკარ—ესაგანება?!..
მებრძოლი ბრძოლით შუქოსნობს,
ვით, კელაპტარი ნთებული,
და გავლილ გზასა ნათელ ჰფენს
მის სისხლი დაღვენთებული!..
ფრიალებს დროშა წითელი
კერპთა ზარ-დამცემ ღვთის რისხვად;
ისმის ხმა თავისუფლების
ხმელეთ-კიდემდე, ზღვით-ზღვად!.
ცა მშობლიური პირს იბანს,
ცვარებს დაყვავრდოვანი,
იმსხვრევა კერპი, იმსხვრევა
მონობა მრავალ-წლოვანი!..

დ. თომაშვილი.

წითელი დროშა შავი ზღვის ესკადრაზე

ერთ კვირაზე მეტი გავიდა და ტელეგრაფის უმოქმედობისა გამო საზოგადოებამ ჯერაც არ იცის ის საშინელი და უმთავრესი მომენტი რუსეთის რევოლუციისა, რომელიც სევასტოპოლში მოხდა 15 ნოემბერს. თუმცა „Возрожденіе“-ში ყოფილა ცნობა ოდესიდან გემ „პუშკინის“ პასაჟირებისგან, მაგრამ ეს ძალიან მოკლე ცნობა უნდა იყოს. მე თითონ „პუშკინით“ მოვედი სევასტოპოლში. „პუშკინი“ წამოვიდა სევასტოპოლიდან 2 საათზე—მე კი იქვე დავრჩი, რომ მენახა, რა მოხდებოდა. მართლაც, 3 საათიდან დაიწყო ის საშინელი ბრძოლა, რომლის მოწმედაც მე გავხდი. ამიტომ, რადგანაც საზოგადოებამ არ იცის, თუ რა ტრაგედია მოხდა სევასტოპოლში, ჩემს თავს მოვალედ ვთვლი, რომ გავაცნო იგი დაწვრილებით.

15 ნოემბერს $7^1/_2$ საათზე მივადექით სევასტოპოლს. მივუახლოვდით თუ არა, დავინახეთ, რომ რეიდის შესავალშივე განდაგან იდგა კრეისერი „ოჩაკოვი“, რომელზედაც არაჩვეულებრივი მოძრაობა ეტყობოდა მატროსებს.

მივუახლოვდით კიდევ და ერთბაშად მთელმა კამანდამ შემოგვძახა: გემი უკან დასწიეთ!

ჩვენი კაპიტანი ისევ წინ მიიწევდა.

მატროსებმა კიდევ შემოგვძახეს: უკან დასწით, თორემ გესვრით!

ამ სიტყვებთან ერთმა მატროსმა მიირბინა ერთ დიდ ზარბაზანთან, რომელსაც პირი ჩვენკენ ჰქონდა მოშვერილი და სასროლად მოამზადა. ჩვენი კამანდა შეფუცხუნდა; კაპიტანმა და მისმა თანაშემწემ მიაძახეს: ახლავე!

ჩვენმა გემმა ცოტა უკან დაიწია.

ერთი წუთის შემდეგ ისევ მოისმა მატროსების საერთო ხმა:

— იაკორზე!

— ახლავე!—უპასუხა კაპიტანმა და ჩაუშვეს იაკორი.

ჩვენ გაოცებული შევჩერებოდით ყველა ამას და არ ვიცოდით ნამდვილად, რაში იყო საქმე, თუმცა ოდესაში გავიგეთ რაღაც, დაბნეულად, ესკადრა წინააღუდგა მთავრობასაო.

მატროსები ხელად მოცურდნენ ჩვენ გემთან, ოთხი მათგანი ნიჩბებს უსვამდა, მეხუთე კი შუაში იდგა და რაღაც პაკეტი ეჭირა.

მოგვიახლოვდნენ კიბესთან და დაუძახეს კაპიტანს, კაპიტანის მაგიერ მისი თანაშემწე ჩავიდა. მატროსმა მიაწოდა პაკეტი შემდეგის განმარტებით:

— მიიღეთ რაპორტი შავი ზღვის მთავარ სარდლის მოქალაქე შმიდტისაგან.

ჩვენ გაოცებით შევეკითხეთ მატროსებს:

— მთავარ სარდლად შმიდტი არის?

— შმიდტი! გვიპასუხეს მატროსებმა.

— ჩუხნინი აღარ არის?

— არა.

ჩვენ ეხლა მივხვდით, რაში იყო საქმე; სიხარულის ნიშნად მოვიხადეთ ქუდები და შევსძახეთ მატროსებს:

— გამარჯვება, ამხანაგებო! გაუმარჯოს თავისუფლებისათვის ამხედრებულს მატროსებს!

სალამის ნიშნად ყველა მატროსებმა მოიხადეს ქუდი და ერთად დასძახეს რამდენჯერმე:

— ურა! ურა!

ჩვენთან მოცურდა კატერი[1] და ბარკასი[2].

— პირველი და მეორე კლასის პასაჟირები „ოჩაკოვზე“ გადმოდით!

ჩვენ ხელად ჩავეშვით ბარკასზე და შევეკითხეთ მატროსებს:

— რაშია საქმე, ამხანაგებო?

— ნუ გეშინიანთ,—გვანუგეშებდნენ მატროსები,—სულ მშვიდობიანად ვახერხებთ ყველაფერს. ჩვენ სისხლის დაღვრა არ გვინდა. ჯერ ერთი კაცის სისხლიც არ დაღვრილა!

— ჩვენ როდი გვეშინიან,—გვინდა გავიგოთ, რაშია საქმე.

— წავიდეთ „ოჩაკოვზე“ და იქ ყველაფერს გაიგებთო,—გვიპასუხეს მოკლედ მატროსებმა. ჩვენ მაინც არ ვეშვებოდით და კითხვას კითხვაზე ვაძლევდით. ამ ლაპარაკში ბარკასიც გაივსო ხალხით, მოუბეს კატერს და გაგვაქანეს „ოჩაკოვისკენ“. „ოჩაკოვის“ უკან და გვერდზე იდგა სამი ნაღმოსანი და ერთიც კონტრ-ნაღმოსანი. შემოვუარეთ გარშემო და მეორე მხრით მივედით „ოჩაკოვთან“. ხელად გადმოვსხდით და სათითაოდ ავირბინეთ კიბეზე. ყველა მატროსებს თავს ვუკრავდით და ვულოცავდით გამარჯვებას. კიბესთანვე იდგა ახალგაზდა კაპიტანი, რომელიც ყველას ხელს გვართმევდა; სხვა აფიცრები გემზე არა სჩანდნენ. ჩვენ მაშინვე ვკითხეთ: სად არის შმიდტი?

თითქმის ყველა მატროსებმა ერთად გამოგვიცხადეს:

— შმიდტი ადმირალის ოთახშია და ახლავე გამოვა თქვენთან, მაგრამ იცოდეთ, სულ ცოტა განზრახვა კმარა შმიდტის წინააღმდეგ, რომ სიკვდილით დაისაჯოთ! ახლა წამობრძანდით ბუფეტში!

რამდენიმე მატროსი გაგვიძღვა წინ და შეგვიყვანეს ერთ მოზრდილ ზალაში.

მე გამოვედი და დავიწყე ბაქანზე (გემის ზევითა ნაწილი) ზარბაზნების თვალიერება. ცოტა ხნის იქით შევბრუნდი და შმიდტიც მოსუ-

---

[1] პატარა ორთქლ-მავალი გემი. [2] დიდი ნავი.

ლიყო. ის იჯდა სტოლის ერთ თავში და გარშემო კი—პასაჟირები. მე მიეუსწარი შმიდტის შემდეგ სიტყვებს:

— ...„განა ჩვენ არ გვაღელვებს კაზაკების მოქმედება, იმათი საზიზღარი ქცევა! მაგრამ რა ვქნათ? ქალაქში ხომ ვერ დაუწყებთ სროლას?.. მაშინ, ვინ იცის, ერთი კაზაკის ალაგზე 100 მოქალაქე მოკვდეს! ჯერ თუმცა აქ მშვიდად არიან, მაგრამ, თუ გაბედეს რამე და ვინმე მოქალაქეს აწყენინეს—მაშინ ჩვენ აქ გვყავს ადმინისტრაციის საუკეთესო წარმომადგენლები და იმათ მაშინვე ამოვხოცავთ. მე მგონი, მთავრობა ამით ბევრს დაჰკარგავს. ჯერ კი ასე მშვიდობიანობაა და თქვენ ნურაფრის შიში ნუ გექნებათ. აქ სარჩო იმდენი გვაქვს, რომ სიმშილით არავინ მოკვდება; მხოლოდ ნუ გეწყინებათ, ბ-ნო პასაჟირებო, თუ რამდენიმე ხანს მატროსების საჭმლით მოგიხდეთ თავის რჩენა, მე თვითონ მატროსის სადილს ვჭამ. ყოველ შემთხვევაში ნურაფრის შიში ნუ გექნებათ".

ამ დროს შემოვიდა ერთი მატროსი და დაგვირიგა შმიდტის განცხადება კაზაკებისადმი. მომყავს ეს განცხადება სიტყვა-სიტყვით:

„თუ რამე შემთხვევა იქნა და კაზაკებმა ძალა იხმარეს მოქალაქეებზე, მაშინ მე იძულებული ვიქნები მივიღო უსასტიკესი ზომები. შავი ზღვის ფლოტის მთავარსარდალი პ. შმიდტი"

ეს განცხადება ქალაქშიაც მრავლად იყო გავრცელებული.

შმიდტს შემოეხვივნენ და დაუწყეს შიშით კითხვა, ჩქარა გაუშვებენ თუ არა „პუშკინსო".

ერთი ეუბნებოდა—ცოლი მიცდის იალტაშიო, მეორე—ქმრის ამბავი არ ვიციო და სხვა. ზოგიერთს ბრაზი მოგვივიდა და შევუტიეთ ამ გულად მებრძოლთ: არა გრცხვენიანთ, ეგეთ წვრილმანებზე რომ ელაპარაკებით?!

შმიდტი მაინც ამშვიდებდა: ნურაფრისა ნუ გეშინიანთ! წასვლაზე კი ახლა ვერაფერს გეტყვით; ყველაფერს სამი საათის შემდეგ გაგაგებინებთ; ახლა კი დამშვიდდით!" ამ სიტყვებით გაეშურა ისევ თავის ოთახში.

მე დავუძახე ერთ მატროსს ცალკე და დავუწყე ყველაფრის გამოკითხვა.

— ამხანაგო, მითხარი გეთაყვა ყველაფერი!

— საქმე შემდეგშია,—დაიწყო მატროსმა,— ამ სამი დღის წინად ჩვენ, მატროსებს, მოქალაქეებთან ერთად დიდი მიტინგი გვქონდა, რასაც ხშირად ემართავდით ხოლმე ამ ბოლო დროს. მიტინგის ადგილას მოვიდა ადმირალი პისარევსკი და ერთი არმიის შტაბს-კაპიტანი საომრად გამზადებულ მატროსების როტით. ადმირალმა დაიძახა: დაიშალეთ, თორემ გესვრით! ჩვენ არ გავუგონეთ და დავუწყეთ ჩვენს წინააღმდეგ გამოსულ მატროსებს ლაპარაკი, რომ არ ესროლათ თავიანთივე ძმებისთვის; პისარევსკიმ ნახა, რომ არ დავემორჩილეთ მის ბრძანებას და შესძახა მატროსებს: „ესროლეთ!" მატროსებმა ხელიც არ გაანძრიეს. მაშინ თვითონ პისარევსკიმ ამოიღო რევოლვერი და ესროლა ერთ მატროსს, რომელიც თოფიან მატროსებს ელაპარაკებოდა. აქ იძრო რევოლვერი ერთმა მატროსმა და დაახალა პისარევსკის. პისარევსკი დაეცა ძირს. მატროსს ეგონა მოკვდაო და მეორე ტყვია ესროლა შტაბს-კაპიტანს, მაგრამ ეს უკანასკნელი ფეხზე დარჩა. ესროლა კიდევ და მაინც ფეხზე იდგა. მატროსს პატრონა გამოელია და დააგდო რევოლვერი. ამ დროს დაჭრილმა პისარევსკიმ უბრძანა თავის მატროსებს: „დაატყვევეთ!" მატროსებმა დაიჭირეს მსროლელი და წაიყვანეს თავიანთ კაზარმაში. შტაბს-კაპიტანს ორივე ტყვია მუცელში მოხვედროდა და საღამოზე გარდაიცვალა. პისარევსკი კი აქა გვყავს დაჭერილი „ოჩაკოვზე"*.

საღამოზე ყველა „ეკიპაჟის" მატროსები წავიდნენ იმ კაზარმაში, სადაც მატროსი იყო დაჭერილი, და მოითხოვეს მისი განთავისუფლება.

აფიცრებმა და სხვა უფროსებმა, დაინახეს რა ასეთი აღელვება და შეერთებული ძალა, შეეშინდათ და აღუთქვეს ახლავე გავანთავისუფლებთო, მაგრამ მატროსებმა აღარ აცალეს,—მისცვივდნენ აფიცრებს, იარაღი აჰყარეს და დაატყვევეს. დაჭერილი მატროსი გამოუშვეს. ხელად შეადგინეს ორი მებრძოლი რაზმი და ჩააყენეს კარებებში, რომ არავინ არ შემოეშვათ.

უფროსებმა, შეიტყეს თუ არა მატროსებში რაღაც მღელვარება სუფევსო, მაშინვე იარაღი აჰყარეს ყველა საომარ გემებს. წაიღეს ყუმბარები და ზარბაზნების გასაღებები*) მხოლოდ, როცა ჩვენთან მოვიდნენ, ზარბაზნების საკეტების მოსახსნელად, ჩვენ მოვილაპარაკეთ და გადავსწყვიტეთ, არ დავანებოთო.

ჩვენც ჩვენი გადაწყვეტილება სისრულეში მოვიყვანეთ. აქედან კი დაიწყო ცხადი წინააღმდეგობა. ჩვენ წინადღესვე გვქონდა დაბეჭდილი ყველა მოთხოვნილება, როგორც ეკონომიური, ისე პოლიტიკურიც და ყველა მატროსებსა და სალდათებში გავავრცელეთ.

(შემდეგი იქნება)

ლ. მეტრეველი.

ტფილისი

29 და 30 ნოემბერი

28 ნოემბერს, ღამით დაწყებულმა სროლამ, თათრების უბანში, გათენებამდე გასტანა. 29 ნოემბერს, დილით ქალაქში სრული სიმშვიდე ჩამოვარდა. ცხოვრება ნელ-ნელა ჩადგა თავის ჩვეულებრივ კალაპოტში. სოციალ-დემოკრატიულ პარტიის დრუჟინა, რომელიც თათრებისა და სომხების უბნების საზღვრებზე იდგა, დარწმუნდა, რომ მისი სურვილი ხოცვა-ჟლეტის ჩაქრობისა განუხორციელებელი რჩება და ცუდუბრალოდ გულს უშვერს ტყვიებს. ამ დღიდან დრუჟინამ უბნებს თავი გაანება და იარაღი სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ბიუროს გადასცა. დრუჟინის ადგილას ჯარი დაბანაკდა. შუადღემდე ქალაქში სრული მშვიდობიანობა იყო, ხოლო ნაშუადღევს ქალაქის შუა ნაწილიდან სჩანდა, რომ მეექვსე საპოლიციო უბანში რამდენიმე შენობას ცეცხლი ეკიდა. ბევრს ეგონა, რომ თათრები სომხების ყველა სახლებს გადასწვავენო, მაგრამ საღამოზე გამოირკვა, რომ მხოლოდ სამიოდე შენობა დამწვარა ვორონცოვის ქუჩის მახლობლად. ცეცხლის ჩასაქრობად იქ გაგზავნილ იქმნა ცეცხლის მქრობელი რაზმი. თათრებს ხელი არ შეუშლიათ, მაგრამ შემდეგ აქეთ-იქიდან სროლა ასტყდა და რაზმი იძულებული გახდა უკან დაბრუნებულიყო. ბევრი დარწმუნებულია, რომ სროლა ყაჩაღმა თათრებმა ასტეხეს, რომელთაც თვით თათრობასთანაც ბევრი კავშირი არა აქვთ-რა.

ბევრს ისიც არ სჯერა, რომ სახლებისთვის თათრებს წაეკიდებინოთ ცეცხლი, რადგან მეექვსე საპოლიციო უბანში სომხებს ბევრი სახლები აქვთ და, თათრებს რომ გადაწვა ნდომოდათ, ყველა სახლებს გადასწვავდნენო.

გუშინ, 30 ნოემბერს, ქალაქი სულ დამშვიდდა. სროლა აღარ არის. ცეცხლიც ჩაქრა. ყველგან მუშაობა განახლდა. ჯარი ისევ პოზიციებზე სდგას.

ახალი ამბავი

ნამესტნიკმა სთხოვა ნაფიც ვექილს ბ. პ. ოპოჩინინს იკისროს რედაქტორობა გაზეთ „კავკაზისა" კონსტიტუციონალურ-დემოკრატიულ პროგრამით. ბ-ნმა ოპოჩინინმა უკვე თანხმობა გამოაცხადა და კიდეც შეუდგა თანამშრომლების მოწვევას. ჯერჯერობით თანამშრომლობა აღუთქვეს ტხორჟევსკიმ, ქალანთარმა (მშაკის რედაქტორი) და ცნობილმა პუბლიცისტმა ნ. ნიკოლაძემ. ეხლანდელი რედაქტორი ბელინსკი გაზეთის რედაქტორად რჩება.

◆ გუშინ, 30 ნოემბერს, **ქალაქის თვითმმართველობიდან დეპუტაცია იყო გენ. მალამასთან.** დეპუტაციამ გადასცა მცხოვრებთა საჩივარი: 1. ბოტანიკურ ბაღის თავზე ჯარი სდგას, რომელსაც ერევნის პოლკის აფიცერი გრიგორიევი მეთაურობს, და ამ ოფიცრის განკარგულებით ჯარის-კაცნი „დაშნაკცუტიუნის" პარტიის დრუჟინას იარაღს ართმევენო, 2. მეექვსე საპოლიციო უბნის ბოქაული თავის დამქაშებით, ამ ხოცვა-ჟლეტის დროს, უწესოდ იქცევა და 3. ის იარაღი, რომელიც დრუჟინას წაართვეს უკანვე დააბრუნეთო. გენერალმა მალამამ უპასუხა: ახლავე განკარგულებას მოვახდენ, რომ ოფიცერმა გრიგორიევმა იარაღი დრუჟინას აღარ აჰყაროს, ხოლო ბოქაულს გურგენიძეს დავითხოვო. თქვენ კი შეადგინეთ სია იმ კაცებისა, რომელთაც ოფიცერმა გრიგორიევმა იარაღი აჰყარა, და დაუყოვნებლივ იარაღს უკან მოგცემთო.

◆ გუშინ ტფილისში დაჰქონდათ **ხულიგანების პროკლამაცია**, რომლითაც ხულიგანები ჯარებს და კაზაკებს აქეზებდნენ ადგილობრივ მთავრობისა და მკვიდრთა საწინააღმდეგოდ.

◆ ბათუმიდან გვატყობინებენ: კაზაკები ხალხს დაერივნენ 25 კაცამდის მოუკლავთ. ამის შემდეგ ხალხს მეზღვაურთა რაზმი მიემხრო კაზაკების საწინააღმდეგოდ.

◆ გუშინ, 30 ნოემბერს, **ტფილისის ქალაქის გამგეობაში თათბირი ჰქონდათ სომხებისა და მაჰმადიანების რამოდენიმე წარმომადგენელს.** თათბირზე გადასწყდა, რომ საჭიროა ტფილისში დაარსდეს სომეხ-თათართა შორის მშვიდობიანობის ჩამომგდები კომიტეტი, რომლის წევრებადაც მხოლოდ მაჰმადიანები და სომხები უნდა იყვნენ. კომიტეტის წევრებად უნდა აირჩნენ ხუთი ყაჟარი-სომეხი, იმდენივე თათარი და ორ-ორი სასულიერო პირი ორთავე მხრიდან. ბ-ნი იაკიმოვი და ინჟ. ახუნდოვი ამ გადაწყვეტილების შესატყობინებლად თათრების უბანში გაგზავნეს. ამ დღესვე, საღამოს ექვსი საათისათვის, კომიტეტის წევრთა ასარჩევად კრება დაინიშნა.

◆ ,,ცნ. ფურ.'' სწერს: გუშინ, 29 ნოემბერს, ჩვენი რედაქციის წინ, იარმურკის ბოლოში, მთელი **ჩვენი რედაქცია სომხების საზიზღარ მხეცობის მოწმე შეიქმნა.** ნაშუადღევის ასე პირველი საათი იქნებოდა, როდესაც ვანქის ქუჩით, ხიდის მხრიდან ორი თათარი მორბოდა. საიდან გამოვიდნენ, როგორ გაჩნდნენ ეს თათრები, ვერ გავიგეთ. ამბობენ, დამალულები იყვნენ და ეხლა გამოსულიყვნენ საფარიდან. როდესაც დამფრთხალმა, შეშინებულმა თათრებმა იარმუკაზე შეუხვიეს, იქით-აქიდან გაჩნდა ოცამდე სომეხი, რომელთაც უწყალოდ და ულმერთოდ დაუშინეს რევოლვერები თათრებს. ისროლეს თითქმის თხუთმეტჯერ. თათრები იქვე მოჰკლეს. მაგრამ ნადირებმა ესეც არ აკმარეს და მოკლულებს ერთი ათჯერ მაინც დაახალეს რევოლვერი და დაუშინეს კეტები. არც ამას დასჯერდნენ და ერთს ფეხით თრევა დაუწყეს. ჩვენ ყველანი მოწმენი ვართ, რომ თათრებს, ამ საწყალ და ლუკმა პურისთვის დატანჯულ მუშებს, არ უსროლიათ და არც ჰქონიათ სასროლი იარაღი. ორივე თათარი სპარსელები იყვნენ. ერთი თათრის გვამი სომხებმა მტკვარში გადააგდეს.

◆ სოფ. ტირძნისში (გორის მაზრა) ადგილობრივ **მემამულეს სულხანიშვილს თავის დასაცავად** სახლში ჰყავს სამი დრაგუნის სალდათი. პირობით დრაგუნებს საჭმელ-სასმელი მემამულემ უნდა აძლიოს, ამის მიუხედავად დრაგუნები გლეხებს არბევენ თურმე ყოველ დღე. ერთ დღეს ძმებმა ტატო და ლექსო გოგინაშვილებმა დრაგუნებს აღარ მისცეს საჭმელი, მაშინ დრაგუნებმა დაუშინეს თოფები ძმებს, ერთი მათგანი—ტატო მოჰკლეს, ხოლო მეორე სასიკვდილოდ დასჭრეს.

◆ გუშინ-წინ, 29 ნოემბერს, ნაშუადღევის 4 საათზე, თათრის მოედნის ახლოს „დაშნაკცუტიუნის" პარტიის წევრებმა შეიპყრეს **ერთი ხულიგანი,** რომელსაც შუშით ბენზინი და სპიჩკა აღმოაჩნდა ჯიბეში. მილიციონერებმა ხულიგანი სოლოლაკში, თავიანთ ბიუროში წაიყვანეს.

◆ კავკასიის ნამესტნიკმა შეიწყნარა შუამდგომლობა ტფილისის თვითმართველობისა, რომ ნ. ე. ზუბალაშვილის მიერ შეწირულის ფულით **ტფილისში აგებულ თავშესაფარს** დაერქვას შემომწირველის სახელი.

◆ რადგან ტფილისში შიშიანობაა და სამწუხარო ამბებს ბოლო აღარ უჩანს, თეატრში ხალხი ნაკლებად დაიარება. სახაზინო თეატრის ანტრეპრენიორიც **ამ მიზეზით ძალიან დაზარალდა** და გადასწყვიტა, წარმოდგენები აღარ მართოს. სამაგიეროდ, შესდგა ამხანაგობა, რომელიც ტფილისში საოპერო წარმოდგენების მართვას კისრულობს. ამ დღეებში ამხანაგობის წარმომადგენელნი კავკასიის ნამესტნიკთან იყვნენ და სთხოვეს, რაიმე დახმარება აღმოგვიჩინეთო. ნამესტნიკი დაჰპირდა: როდესაც წარმოდგენა 700 მანეთზე ნაკლებ შემოსავალს მოგცემთ, თეატრის ქირას იმ საღამოს არ გადაგახდევინებთ, ხოლო თუ 700 მანათზე მეტი შემოსავალი იქნება, ჩვეულებრივ 125 მანათი გადაიხადეთო.

◆ **ტფილისის საოპერო და დრამატიულმა დასებმა** თავისი მოქმედება შესწყვიტეს. არტისტები ყველა დათხოვნილ იქმნა.

◆ **ყაზახიდან დეპეშით იტყობინებიან:** თათრები სწვავენ და არბევენ. ჯარი არ არის. გთხოვთ იშუამდგომლოთ, მთავრობამ დაუყოვნებლივ დახმარება აღმოგვიჩინოს. მოხელენი და მოქალაქენი კაზარმებში შეეფარნენ.

◆ როგორც გადმოგვცეს, დ. ახალ-სენაკში სათადარიგო ჯარის კაცებს უთქვამთ ადგილობრივ მცხოვრებთათვის—თავს დაგანებებთ და ჩვენ-ჩვენ სახლებში წავალთ, თუ საგზაო ფულს გვიშოვნითო. მცხოვრებთ თავიანთ შორის რამდენიმე თუმანი შეუგროვებიათ და დანიშნულებისამებრ გადაუციათ. მეორე დღეს ადგილობრივ სასტუმროში შემდეგი ამბავი მომხდარა. ჯარის კაცები დამთვრალან და ადგილობრივ ქალებზე ძალის მიტანა მოუნდომებიათ. ეს ვერ მოუთმენია იქ მყოფ რამდენისამე მეგრელს და სალდათებისათვის სროლა დაუწყვია. მოკლულია ერთი და დაჭრილია რამდენიმე სალდათი. მთავრობა რეპრესიულ ზომებს იღებს სალდათის მკვლელთა აღმოსაჩენად. მცხოვრებნი აღშფოთებულნი არიან.

◆ ფოთიდან გვატყობინებენ, რომ იქ **ხალხსა და კაზაკებს შეტაკება მოსვლიათ.** დაწვრილებითი ცნობები ჯერ არ მოსულა.

◆ სადგურ „სანდარ"-ის უფროსი დეპეშით ატყობინებს ნამესტნიკს: „საფოსტო მატარებელი № 76 სადგურზე რომ მოვიდა, **სომხებმა თოფები დაუშინეს** მატარებელს. მოჰკლეს და დასჭრეს ათი მაჰმადიანი. სროლაზე არც ერთმა მაჰმადიანმა არ უპასუხა".

◆ სამშაბათს, 29 ნოემბერს, კვირაცხოვლის ქუჩაზე უბნის დამცველებმა **შეიპყრეს ერთი საეჭვო კაცი.** ამ დროს იქ გაჩნდა ორი მილიციონერი „დაშნაკცუტიუნის" პარტიისა, რომლებმაც განაცხადეს: ეს კაცი ხულიგანია და უეჭველად უნდა მოვკლათო, მაგრამ უბნის დამცველებმა შეაჩერეს და შეპყრობილი სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ბიუროში უნდა წაეყვანათ. მილიციონერები გაცხარდნენ. ერთმა მათგანმა მაინც მოინდომა ხულიგანის მოკვლა, მაგრამ სხვებმა ხელი შეუშალეს და გასროლილი ტყვია „დაშნაკცუტიუნის" მეორე წევრს მოხვდა და ფეხში დაიჭრა.

◆ სამშაბათს, 29 ნოემბერს, **ტფილისის ელექტრონის ტრამვაის დირექციას და კონდუქტორ-ვატმანებს კრება ჰქონდათ.** დირექციამ გამოუცხადა მოსამსახურეთ: დღევანდელმა არეულობამ ტრამვაის ვაგონების მოძრაობას ხელი შეუშალა, ზოგან კი, როგორც მეექვსე საპოლიციო უბანში, მოძრაობა სრულიად შესწყდა. ამის გამო შემოსავალმა ძალიან იკლო, ხოლო ხარჯი ისევ ძველებური აქვს. ამიტომ გადავწყვიტეთ, დროებით ტრამვაის მოძრაობა სულ შევაჩეროთო. კონდუქტორ-ვატმანები დირექციას არ დაეთანხმნენ და უთხრეს: როცა დიდი შემოსავალი გქონდათ, მაშინ ჩვენთვის არ გაგიყვიათ და ახლა ჩვენ სრულიად არ გვეკითხება შემოსავილი გაქვთ თუ არა, მუშაობას არ შევაჩერებთო. კონდუქტორ-ვატმანები ამის შემდეგ გამოვიდნენ და მუშაობა დაიწყეს.

◆ ჯულფის რკინის გზის ამშენებელ ინჟინერს ვურცელს ულუხანლუდან **შემდეგი დეპეშა მოუვიდა:** ყველა მოსამსახურეებმა სადგურზე მოიყარეს თავი. დაჟინებით ამბობენ, რომ 30 ნოემბერს ჟლეტა-ხოცვა დაიწყებაო, და თხოულობენ, რომ მათი ცოლშვილი დაუყოვნებლივ იქნას გაგზავნილი. მოსამსახურეებმა გადასწყვიტეს თავიანთ ადგილებზე დარჩენა მხოლოდ იმ პირობით, რომ დამცველი ჯარი იქნეს სადგურებზე, სამუშაო ადგილებზე და აგრეთვე რომ, თუ ვინიცობაა მათ რამე დაემართათ, მმართველობამ იზრუნოს მათ ცოლშვილზე. სომხები კი თხოულობენ დროებით დაითხოვონ ჯამაგირით სამსახურიდანაო. ბ-ნმა ვურცელმა უპასუხა: ერევნის გუბერნატორს საჭირო ჯარი ვსთხოვე, ამიერ-კავკასიის რკინის გზის დასაცველად და რომ თქვენი ცოლშვილი იქნას წამოყვანილი, დანარჩენის ასრულება ჩემს ხელთ არ არის, შევატყობინებ ნამესტნიკს და პეტერბურგშიაც მივიწერებით.

◆ გუშინ-წინ, საღამოს ხუთ საათზე, სიონის ქუჩაზე, მაისურაძის ქარვასლის სახურავზე, რამდენიმე კაცი იდგა და ცეცხლ მოდებულ სახლებს შესცქეროდა. ამ სახურავზე იდგა, სხვათაშორის, ტფილისის კომერციულ სასწავლებლის ერთი მოსწავლე მაჩაბლოვი, რომელიც უცბად წაიქცა. თურმე საიდანღაც გამონასროლი ტყვია საბრალოს გულში მოხვედროდა და იქვე სული განუტევა.

◆ **ღამ-ღამობით ხულიგანები თარეშობენ.** გუშინწინ, ღამით, მარტო მეათე საპოლიციო უბანში ავჭალის ქუჩის გარშემო მცხოვრებლებმა დაიჭირეს ოთხი ხულიგანი, რომელთაც ქუჩაზე ნავთი მიჰქონდათ.

◆ გუშინ, 30 ნოემბერს, დილით, ავჭალის ქუჩაზე, რამდენიმე სომეხი თავს დაეცა **თათრის დუქანს**, რომელიც იმ დღიდან დაკეტილია, რაც ტფილისში სომეხ-თათართა ხოცვა-ჟლეტა დაიწყო. სომხებმა კლიტე, როგორც იყო, ჩამოხსნეს და დუქანში გასაძარცვავად ორი ბიჭი შეგზავნეს. ამ დროს დუქანს თავს წააწყდნენ ქართველები და სომეხნი გაიფანტნენ. დუქანში შეგზავნილი ბიჭები დაჭერილ იქმნენ. აქ შემთხვევით მოხვდა სომეხთა პარტიის ,,დაშნაკცუტუნის'' წევრი, რომლის განკარგულებითაც დაჭერილები მსჯავრის დასადებად ნაძალადევში, სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ბიუროს გაეგზავნა.

◆ **ოსმალეთის ელჩი აფრთხილებს „ტერორისტებს",**—ოსმალეთის ქვეშევრდომი თუ მოიკლა ვინმე, ოსმალეთში, შეიძლება, დიდი სისხლის ღვრა მოხდესო· და საზოგადოდ მაშინ პასუხის მგებელი შედეგისთვის აღარ ვიქნებითო.

◆ დღეს, 1 დეკემბერს, ნაძალადევში, დილის 10 საათზე, **დანიშნულია მიტინგი ტფილისის ყველა დარგის მოვაჭრეთა.** მიტინგი განიხილავს მოვაჭრეთა დღევანდელ საჭირ-ბოროტო კითხვებს.

◆ 23 ნოემბერს, ერევანში, რამდენიმე შეიარაღებული კაცი თავს დაეცა ქუჩაში ეტლით მიმავალს რკინის გზის არტელჩიკს, რომელსაც სახელმწიფო ბანკის განყოფილებიდან მიჰქონდა **ოცი ათასი მანათი ფული.** უცნობებმა ფული წაართვეს და მიიმალნენ.

◆ სამშაბათს, 29 ნოემბერს, ნაშუადღევის 5 საათზე, სასულიერო სემინარიის წინ, ორი კაზაკი იდგა და გამვლელ-გამომვლელებს სჩხრეკდა. ერთმა გამომვლელთაგანმა თავი არ გააჩხრეკინა, ნება არა გაქვსო, რამაც ხმაურობა გამოიწვია. ხმაურობაზე ხალხი შეგროვდა. „ხულიგანებია, დაიჭირეთო", გაისმა ხმა, მაგრამ კაზაკებმა სიტყვა „ხულიგანის" გაგონებაზე მოჰკურცხლეს და თავს უშველეს.

◆ 29 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე, გოლოვინის პროსპექტზე, სასტუმრო „რუსსია"-ს წინ, ვიღაცამ რევოლვერი გაისროლა და თეატრის შესასვლელში გაიქცა. ხალხი უცებ დაფრთხა, მაგრამ შემდეგ ზოგიერთი გაიქცა იმ ადგილისკენ, საიდანაც რევოლვერის ხმა მოისმა, მაგრამ მსროლელი ვერ ნახეს.

◆ 29 ნოემბრიდან თათრების მოედანზე, მეექვსე საპოლიციო უბანში, რამდენიმე სახლს ცეცხლი უკიდია. ცეცხლის მქრობელი რაზმი იქ გვიანამდე არ მიუშვეს.

◆ გუშინწინ პოლიციის ქუჩაზე (შუა ქალაქში) ერთი საეჭვო კაცი შეიპყრეს, სწორედ იმ დროს, როდესაც ერთის სახლისათვის ცეცხლი უნდა წაეკიდებინა.

◆ სამშაბათს, 29 ნოემბერს, ბათუმიდან ტფილისში მატარებელი არ მოსულა. ეს მატარებელი უნდა მოსულიყო ნაშუადღევის 1 საათზე და 29 წუთზე.

◆ შაბათს, საღამოს 7 საათზე, „ივერიის" სასტუმროს მახლობლად, ერთს თათრის დუქანს რამდენიმე კაცი დაეცა და გატეხას უპირებდა. ეს შეამჩნიეს იქვე მახლობლად მდგარმა ყარაულებმა და ავაზაკებს სროლა აუტეხეს.

◆ ამიერ კავკასიის რკინის გზას ცხობა მოუვიდა, ქუთაისსა, სამტრედიასა, რიონსა და ბათუმ-შუა ლიანდაგზე გადაჭრილია სატელეგრაფო მავთულები და წაღებულია ბარიკადების ასამართავად. ხმებია, ვითომ ბათუმში ხოცვა ჟლეტა დაწყებულიყოს.

◆ ბაქოს და ყარსისკენ ღამღამობით სახალხო მატარებლები აღარ დადიან.

◆ ნამესტნიკის ბრძანებით, ალექსანდროპოლიდან საგანგებო მატარებლით, 29 ნოემბერს, გამოიგზავნა სამი როტა ჯარის-კაცი ლიანდაგის დასაცველად კარაკლისიდან ნავთლუღამდე.

◆ 25 ნოემბერს, სდ. აბაშის ვაგონების დამტვირთველმა მუშებმა სამუშაოზე ხელი აიღეს და მოითხოვეს 25 მან. ჯამაგირად, სახლი, ნავთი და შეშა. მუშები პასუხს ოთხის დღის განმავლობაში ელიან.

რუსეთი

◆ ვლადივოსტოკში ადგილობრივ მთავრობას შიშისაგან დავთრები აერია. იქაურმა ჯარმა აფიცრებსა და ყველა უფროსებს განუცხადეს: თუ ხუთი დღის განმავლობაში არ შეგვატყობინეთ, თუ როდის გაგვგზავნით სამშობლოში, მთელ ქალაქს დავანგრევთ, გემებს დავწვავთ და თქვენც დაგხოცავთო. ჯარი უკვე აჯანყდა, ციხე-ფორტები აიღო და პასუხს ელის. ტელეგრაფი ვლადივოსტოკსა და ხარბინს შუა არ მუშაობს.

◆ ადმინისტრაციამ ცარსკოე სელოში დააპატიმრა 25 სალდათი-აგიტატორი და აუარებელი პროკლამაცია.

◆ ამას წინად სახელმწიფოს დამცველ საბჭოს კრება ჰქონდა დიდ მთავარ ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის თავმჯდომარეობით. კრებაზე ყველამ აღიარა, რომ მთელ რუსეთში ჯარი ღელავს, რასაც შეიძლება დიდი „უბედურება" მოჰყვესო.

◆ ვორონეჟში დისციპლინალური ბატალიონი აჯანყდა. სალდათებს შეუერთდნენ პატიმრები და ციხეს ცეცხლი წაუკიდეს. საპყრობილეს ჯარი შემოერტყა, მაგრამ აჯანყებულებმა თოფები დაუშინეს და გაჰფანტეს. მერე საპყრობილის კარები გამოამტვრიეს და გაიქცნენ. ზოგი ცოტა ხნის შემდეგ ისევ უკან დაბრუნდა, ზოგი—ქალაქში დადის, უმეტესობამ კი თავს უშველა. და გაიპარა. საპყრობილის გარდა მრავალი დუქანი დაიწვა.

◆ 23 ნოემბერს მუშათა დეპუტატების საბჭომ განიხილა წინადადება **ანარქისტებისა**, რომელნიც თხოულობდნენ, საბჭოში და აღმასრულებელ კომიტეტში ჩვენს დეპუტატებსაც დაუთმეთ თითო ადგილიო. საბჭომ დაადგინა: 1) საერთაშორისო პრაქტიკაში კრებებსა და სოციალისტურ კონფერენციებზე ანარქისტებს არ იწვევენ, რადგან მათ [illegible] არა სწამთ პოლიტიკური ბრძოლა, როგორც საშუალება თავიანთ იდეალების მისაღწევად; 2) წარმომადგენლობა მხოლოდ პარტიის მხრივ შეიძლება, ანარქისტები კი პარტიას არ წარმოადგენენ.

◆ **ხაზინის გაკოტრება.** რუსეთის გაზეთები საზოგადოებას აფრთხილებდნენ, თუ გაქვთ ფული ხაზინაში, ან შემნახველ კასაში, ჩქარა გამოიტანეთ, თორემ, დღეს თუ ხვალ, ხაზინა გაკოტრდებაო. ეს ამბავი უკვე მართლდება: პეტერბურგში მექარხნე აივაზოვმა მუშებს გამოუცხადა, ანგარიშს ვერ გაგისწორებთ, რადგან „ჩრდილოეთის ბანკი" (მდიდარი ბანკია) ანგარიშს არ მისწორებს და ჩემ ფულს არ მაძლევსო. საზოგადოება დაფაცურდა და ბანკებიდან ფული გამოაქვს. სახელმწიფო ბანკიდან თავის ფული (3 მილ. მან.) გამოიტანა, სხვათა შორის, პეტერბურგის ქალაქის მოურავად ნამყოფმა ლელიანოვმა, რომელიც საზღვარ გარედ გარბის. საზოგადოდ, უკანასკნელ დღეებში რუსეთიდან აუარებელი ხალხი მიდის საზღვარ გარედ. ამ ცოტა ხანში 30,000 კაცი წავიდა საზღვარ გარედ.

◆ ლიფლანდიის გუბერნატორმა ხელმწიფეს შეატყობინა: ლატიშები აჯანყდნენ და პოლიტიკურ დამოუკიდებლობას თხოულობენ. ნება მომეცით, ლიფლიანდიის გუბერნიაში სამხედრო წესები შემოვიღოო. გუბერნატორმა სურვილი აისრულა და გუბერნიაში სამხედრო წესები შემოიღო. **ეს ნამდვილი პროვოკაციაა** მთავრობის მხრით. როგორც ვიცით, ლატიშები ავტონომიას თხოულობენ და არა პოლიტიკურ დამოუკიდებლობას. ასეთივე პროვოკაცია მოახდინა მთავრობამ პოლონეთში, მაგრამ კბილი მოიტეხა; ახლა ლატიშებს დააფრინდა და მათზე ცდილობს ჯავრის ამოყრას.

◆ **შმიდტის ჩამოხრჩობა.** ხმა დადის, ვითომ ლეიტენანტი პეტრე შმიდტი სამხედრო სასამართლომ გაასამართლა და ჩამოხრჩობა გადაუწყვიტაო. ამბობენ, შმიდტი უკვე ჩამოახრჩესო. რამდენად მართალია ეს ხმა, ჯერ არ ვიცით.

◆ პეტერბურგის გაზეთებს დანამდვილებით გაუგიათ, რომ მთავრობა **საყოველთაო არჩევნების** შემოღებას არ აპირობს.

— **ჩრდილოეთის მასწავლებელთა კრება.** ამ დღეებში პეტერბურგში კრება ჰქონდათ ჩრდილოეთ გუბერნიების მასწავლებლებს, რომელთაც საკუთარი კავშირი დააარსეს. კრებაზე ერთმანეთს შეეჯახნენ სოც.-დემოკრატები და სოც.-რევოლუციონერები. კავშირი არც ერთ პარტიას არ მიემხრო და საკუთარი პროგრამა შეიმუშავა. მეტად გამწვავებული კამათი ჰქონდათ აგრარულ საკითხის შესახებ. ბოლოს სოც.-რევოლუციონერებმა გაიმარჯვეს და კრებას თავიანთი აგრარული პროგრამა მიაღებინეს.

კორესპონდენცია

საგურამო (დუშეთის მაზრა). საგურამოს, გივი სტაროსელსკის შენახვაში, სდგას ოცი კაზაკი.

18-ს ნოემბერს, ამ კაზაკებმა აწიოკეს მთელი სოფელი. საბაბი ამისა იყო შემდეგი: ილია ჭავჭავაძის მოურავს უწუქებია კაზაკებისათვის ერთი პატარა ბოჭკა ღვინო: კაზაკები შუაგულ სოფელში ქეიფობდნენ. ერთმა მთვრალმა კაზაკმა ხელი წასტაცა ზაქარია ფიროდონაშვილის გასათხოვარ ქალს, მართას. ქალის კივილზე მოცვივდნენ მისი ძმები და მეზობლები. კაზაკები და გლეხები ერთმანეთს ჯოხებით დაერივნენ; იარაღი კაზაკებს თან არა ჰქონდათ. კაზაკებმა ბოჭკა დააგდეს და გაცვივდნენ თავის ბინისკენ. შეიარაღდნენ და შემოვიდნენ ისევ სოფელში. მაშინ დააწიოკეს ბევრი ოჯახები. სცემეს ქალსა და კაცს და გაიტაცეს ფული და ნივთები. ნაცემია და თავგატეხილია ოცდა-თერთმეტი კაცი და ორი ქალი. ორი კაცი მძიმედ არის გალახული. კაზაკების მხრივ თავგატეხილია სამი კაცი.

ფულის და ნივთების დაკარგვა, სხვათა შორის, შემდეგმა პირებმა განაცხადეს: გიგო უნდილაშვილმა 560 მანათი ფული, ორი ფოსტონანი თოფი და ორი წყვილი ოქროს ბეჭედი თვლებით. გიორგი მოძღვრიშვილმა: 40 მანათი, სარკე კედლისა, აზარა, ორი შალი, საცვეთები და ჩუსტები. იოსებ გოგიძემ: 10 მანათი, ხანჯალი ვერცხლის ქარქაშით, შალი მოსასხამი, ორი თეთრი იუბკა, მატკალი 8 არშინი, ოქროს სამი ბეჭედი ფირუზის თვლებით და ოქროს ქინძისთავი და სხვა. ერთის სიტყვით, მთელი სოფელი გაძარცვეს.

გამოძიება სწარმოებს. ოცს ნოემბერს გამომძიებელმა აბას-ალი-ბეგმა ადიბაბეკოვმა გაჩხრიკა კაზაკების სადგომი და მის გარშემო საბძლები, თივის ძნები და ჯაგები. ჯაგებში ერთ ადგილს იპოვნა ერთი წყვილი ჩუსტი გრძელ-ყელიანი. ამ ჩუსტში იდვა ერთი წყვილი ქალის ტუფლები და ერთიც კბილ-დამტვრეული შავი სავარცხელი.

ა. იაშვილი.

---

*) იმის შესახებ, თუ როგორ აჰყარეს იარაღი ყველა სხვადასხვანაირად იძახდა, ისე რომ ნამდვილად არ ვიცი, როგორ მოხდა. მხოლოდ ფაქტია რომ 15 გიორგობისთვეს თითქმის ყველა უიარაღოდ იყო „ოჩაკოვის" გარდა.

დროებითი რედაქტორი ფ. გოგიჩაიშვილი.
გამომცემელი თ. პავლე ი. თუმანიშვილი.

ელექტრომბეჭდავი „ცისკარი", ტფილისი, ფრეილინის ქუჩა, № 5